ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

01 ოქტომბერი 2018 წელი

დადგენილება N40

56-00
დ.ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N16 დადგენილებაში „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე -20 მუხლის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N16 დადგენილებაში „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 14/04/2015 სარეგისტრაციო კოდი210020010.35.128.016217).

1.შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილების პირველი მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ 1. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის:

ა) დაბეგვრის ობიექტია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან იურიდიული პირი;

ბ) მოსაკრებლის ოდენობა ახალი ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული ფართობის

თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს 2 ლარით;

გ)საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის 5 ლარით

დ) ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის 1 ლარი.

ე.) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა:

ე.ა) II კლასის ობიექტებისთვის 50 ლარი,

ე.ბ) III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარი,

ე.გ) IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარი.

2.შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი

ა) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით და ასეთი საქმიანობა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნებართვით რეგულირებას.

ბ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დიფერენცირება მოხდეს სათამაშო ბიზნესის სახეობების მიხედვით და განისაზღვროს:

გ) სამორინეს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე – კვარტალში 20 000 ლარი;

დ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2000 ლარი;

ე) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10 %;

ვ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე კვარტალში –250 000 ლარი;

ზ) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20%.

თ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 11 000 ლარი.“

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე